ხელშეკრულება № 78

"-8-" 06 2016წ

ა.ა.ი.პ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებასა და მ/მ გელა მოძმანაშვილს შორის

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება, წარმომადგენელი მისი დირექტორის შ. არჯევანიძის სახით (შემდგომში "დამკვეთი") ხოლო, მეორეს მხრივ მ/მ გელა მოძმანაშვილის სახით (შემდგომში "შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულების საგანი

ქ. მცხეთის მაყვალა მრევლიშვილის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველებისათვის საგურამოს სახლ-მუზეუმში ტრანსპორტით მომსახურება თანხით **50 (ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.**

**CPV** კოდი –60100000 საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები 50 ლ.

## 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 "შემსრულებელი" ვალდებულია უზრუნველყოს ქ. მცხეთის მაყვალა მრევლიშვილის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველებისათვის საგურამოს სახლ-მუზეუმში ტრანსპორტით მომსახურება.
2.2 "შემსრულებელი" უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და პასუხს აგებს მის უხარისხობაზე თუ იგი გამოწვეულია "შემსრულებლის" არასწორი ქმედებით.
2.3 "დამკვეთი" ვალდებულია აუნაზღაუროს "შემსრულებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.
2.4 "დამკვეთი" და "შემსრულებელი" იღებენ ვალდებულებას, დროულად და სრულად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 3. ფასი და გადახდის წესი

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **50 (ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**
3.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

## 4. ხელშეკრულების პირობების შესრულება

4.1 ხელშეკრულების პირობები შესრულებულად ითვლება მას შემდეგ, როდესაც ორივე მხრიდან დადასტურდება შესრულების აქტით.

## 5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

5.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.
5.2 შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკურლების შეწყვეტის შესახებ
8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.
11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 19 ივლისი ჩათვლით.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

### მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**დამკვეთი**

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
ს/კ 436036362
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ტელ: 2 52 74 59
მის: მცხეთა, მამულაშვილის ქ.12
ტელ: 2 51 25 69

გაერთიანების დირექტორი

შორენა არჯევანიძე

---------------------------

**შემსრულებელი**

ი/მ „დავით პეტროვსკი"

ქ. მცხეთა

პ/ნ №31001035829
ს/კ TBCBGE 22
ს.ს „თიბისი ბანკი"
GE68TB7373345061100006
ტელ : 599407468

ი/მ. „დავით პეტროვსკი"

---------------------------

## ხელწერილი ინტერესთა კომფლიქტის არარსებობის შესახებ

8.06 2016წ

ა.ა.ი.პ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შორენა არჯევანიძე და მ/მ "გელა მოძმანაშვილი" ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში. ჩვენს მიერ ტრანსპორტის დაკვეთა-შესრულება (კოდი–60100000) არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011. 07.04 №9 ბრძანების გამარტივებული შესყიდვების შესახებ. ასევე, არ ეწინააღმდეგება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს (№17 მუხლი). აქედან გამომდინარე, ორივე მხარე არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში.

გაერთიანების დირექტორი: შ. არჯევანიძე

მ/მ "გელა მოძმანაშვილი": გ. მოძმანაშვილი